



აღმოსავლეთის კარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 მარტი, 2012 წელი

დრო: 16:00 - 19:00

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის განრიგი. შეხვედრას ჯგუფის წევრების გარდა ესწრებოდნენ მოწვეული არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები.

შეხვედრა გაიყო ორ თემატურ ნაწილად. ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს "საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და ის ცვლილებები, რომელიც ამ კანონის საფუძველზე განხორციელდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.

აღნიშნული კანონპროექტი დაჩქარებული წესით მიმდინარე წლის 20 მარტს მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ჯგუფის წევრებმა საკამოდ ვრცლად იმსჯელეს კანონში ასახულ ცვლილებებზე და მწვავე დისკუსიის შემდეგ ერთხმად შეთანხმდნენ იმაზე, რომ კანონი არაპროფესიონალურად და საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით არის მომზადებული. მისმა ამოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს ბუნებას. კანონპროექტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებს, არღვევს კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ნორმებს.

ჯგუფის წევრების აზრით, კანონპროექტი მიუღებელია ეკონომიკური და მდგრადი განვითარების თვალსაზრისითაც, ის უგულვებელყოფს სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის პრინციპებს, გამოიწვევს გარემოს დეგრადაციას და ამავედროულად ქმნის კორუფციულ გარიგებათა და შერჩევითი სამართლის გამოყენების მაღალ რისკს.

კანონის შინაარსობრივი მიმოხილვის შემდეგ, ჯგუფის წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება და სამოქალაქო საზოგადოების პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირება. გადაწყდა, რომ საჭიროა მომზადდეს მოკლე მიმართვა პრეზიდენტის სახელზე კანონზე ვეტოს დადების შესახებ. წერილის ოფიციალურად შესატანად დაიგეგმა საპროტესტო აქცია 23 მარტს, 15:00 საათზე პრეზიდენტის რეზიდენციასთან. მიმართვის ტექსტზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო ადგილზე ჯგუფის შეხვედრის მიმდინარეობისას, წევრები ასევე შეთანხმდნენ, რომ მსურველებს შეეძლებათ მიმართვას შემოუერთდნენ როგორც ონლაინ, ასევე აქციაზე მოსვლით და ადგილზე ხელმოწერით.

საორგანიზაციო საკითხების განხილვის შემდეგ ჯგუფის წევრება ისაუბრეს წამოწყების გრძელვადიან პესპექტივებზე. გადაწყდა, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ მიმართვის გაკეთება, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების პოზიციის შესახებ ეცნობოს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში მოქმედ საელჩოებს. წევრები შეთანხმდნენ, რომ შემდეგი კვირისათვის მომზადდება შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ასევე შემუშავდება ევროკავშირის წარმომადგენლობასთან გასაგზავნი მიმართვის ტექსტის ქართულ- ინგლისური ვარიანტი. შესაძლებელია გაკეთდეს ანალიტიკური პუბლიკაციაც.

შეხვედრის მეორე ნაწილი დაიწყო გარემოს დაცვის საკითხებსა და წითელი წიგნზე საუბრით. ორგანიზაცია "ნაკრესის" წარმომადგენელმა, ჯგუფის წევრებს გააცნო გადაშენების პირას მყოფ ცხოველებზე ნადირობის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით არსებული მძიმე ვითარება. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ მათ შეუძლიათ განახორციელონ მონიტორინგი ნადირობის კვოტების გამოცხადებაზე და ზოგადად ამ კუთხით განხორციელებულ ყველა აქტივობაზე.

შეხვედრის მეორე ნაწილს ესწრებოდნენ მხოლოდ წევრი ორგანიზაციები. გაკეთდა პირველადი მონახაზი გუფის წევრების საქმიანობის შესახებ. ორგანიზაციებმა ისაუბრეს მიმდინარე პროექტების, სამომავლო გეგმებისა და პლატფორმის მხრიდან საჭირო დახმარების შესახებ.

ელკანა - მუშაობს ორგანული სოფლისმეურნეობისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების განვითარებაზე. პლატფორმის მხარდაჭერა სჭირდება ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მთავრობის შესაბამის უწყებებთან წარსადგენად.

ევროპული კვლევები საქართველოს საინოვაციო განვითარებისათვის - მუშაობს წყალბადისა და მზის ენერგეტიკაზე, ეწევა როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ საქმიანობას. პლატფორმის დახმარება სჭირდება ევროპული საინოვაციო პოლიტიკის დასანერგად და ორგანიზაციის რეკომენდაციების მთავრობისათვის მიწოდების მხარდაჭერის კუთხით.

ეკოტექი - ახორციელებს თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს გარემოს დაცვის სფეროში. იგივე დახმარებას ითხოვს პლატფორმისგან, რასაც ევროპილი კვლევები საქართველოს საინოვაციო განვითარებისათვის.

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი - თანამშრომლობს სლოვაკეთის ატლანტიკურ კომისიასთან. საბჭოს დაფინანსებით მიმდინარე წლის მაისში/ივნისის დასაწყისში იგეგმება ენერგო უსაფრთხოების საკითხებზე სემინარის ჩატარება. პლატფორმის მხარდაჭერა სჭირდება სემინარის ორგანიზებაში (მონაწილეობა, ექსპერტული ანალიზი)

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - მუშაობს რამდენიმე პროექტზე, მათ შორის აღსანიშნავია ენერგოეფექტური და განახლებადი ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლა, ევროკავშირის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს სამომავლო გაწევრიანების პერსპექტივების კვლევა, ახალი ჰესების მშენებლობის საერგებლიანობის ანალიზი.

აი-იუ-სი-ენ კავკასიის თანამშრომლობის ცენტრი (IUCN-Caucasus) - ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით: დაცული ტერიტორიების მართვა, კლიმატური ცვლილებები, სატყეო სექტორის მართვა და გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნება. პლატფორმისა და IUCN - ის თანამშრომლობა ორიენტირებული უნდა იყოს გლობალურიდან ეროვნულ დონეზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაზე.

ენერგოეფექტურობის ფორუმი (EEF) - ახორციელებს კვლევით საქმიანობას შემდეგ სფეროებში: ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების პოლიტიკა, ასევე ენერგეტიკის რეგულირების საკითხები საქართველოსა და ევროკავშირში (შედარებითი ანალიზი)/რეკომენდაციების შემუშავება. ორგანიზაციამ მზადყოფნა გამოთქვა დაეხმაროს პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს მათი მნიშვნელოვანი კვლევების საინფორმაციო ქსელის მეშვეობით ფართო საზოგადოებისათვის გაცნობაში.

კავკასიის ეკოლოგია - წარმოადგენს ევროსაბჭოს გლობალური განათლების ქსელის საკონტაქტო ორგანიზაციას. ახორციელებს კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობას, მუშაობს განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების დანერგვასა და სუფა წყლის ხელმისაწვდომობაზე, ევროპული სტანდარტების კვლევასა და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან ადაპტირებაზე. ყოველწლიურად ატარებს გლობალური განათლების კვირეულს საქართველოში. ჩართულია პროექტში, რომელიც ეხება ქალთა როლის გაძლიერებას განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების დანერგვაში.

მწვანე ალტერნატივა - ორგანიზაცია მუშაობს სხვადასხვა მიმართულებებით. მათ შორის აღსანიშნავია გარემოს დაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. სექტემბერში იგეგმება ახალი პროექტის დაწყება, რომელიც შეეხება ასოცირების შეთანხმების ჰორიზონტალური ინსტრუმენტების საგზაო რუკის მომზადებას, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების პრაქტიკულ კვლევასა და ანალიზს. მთავრობისათვის მომზადდება შეფასებები და რეკომენდაციები. გარდა ამისა, ორგანიზაცია იწყებს მუშაობას 2013 წლის საინდიკაციო გეგმაში შესატანი იმ პრიორიტეტების შემუშავებაზე, რომლებიც უნდა აისახოს ევროკავშირის 2014-2020 წლის დახმარების პროგრამაში. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს ენერგეტიკის სფეროსაც. იგეგმება ახალი ჰესების მშენებლობის ეკონომიკური ანალიზის დაწყება, ასევე კამპანია მცირე ჰესების პარამეტრების წინააღმდეგ.

დაახლოებით 3 საათიანი მსჯელობისა და განხილვის შემდეგ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.